

საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები

- ▶ მუდმივად უნდა იმყოფებოდეთ საარჩევნო ყუთთან.
- ▶ უნდა აკონტროლოთ საარჩევნო ყუთი და სპეციალური კონვერტები.
- ▶ დახურული უნდა გქონდეთ საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდება ჭრილი.
- ▶ კენჭისყრის კაბინიდან ამომრჩევლის გამოსვლის შემდეგ მიუთითეთ მას, განცალკევებით მდგარი მაგიდიდან დამოუკიდებლად აიღოს ერთი სპეციალური კონვერტი და მოათავსოს მასში გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები.

განუმარტეთ ამომრჩეველს, ხმის მიცემის შემდეგ გამოყენებული კალმისტარი დატოვოს კენჭისყრის შენობაში განთავსებულ სპეციალურ კონტეინერში.

- ▶ მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი სპეციალური კონვერტი აქვს, უნდა გახსნათ საარჩევნო ყუთის ჭრილი და მიუთითოთ ამომრჩეველს სპეციალური კონვერტი მოათავსოს საარჩევნო ყუთში.
- ▶ სპეციალური კონვერტის საარჩევნო ყუთში მოთავსების შემდეგ სთხოვეთ ამომრჩეველს, დატოვოს საარჩევნო უბანი.

ბაითვალისწინათ!

- ✓ მხოლოდ ამომრჩეველს აქვს უფლება, საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენების მოათავსოს სპეციალურ კონვერტში. გამონაკლისია „ფიზიკური მდგომარეობის“ მქონე ამომრჩეველი, რომლის ნაცვლად მისი თანდასწრებით საარჩევნო ბიულეტენს/ბიულეტენებს სპეციალურ კონვერტში ათავსებს და კონვერტს საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი, რომელიც დაეხმარება მას კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების შვსებაში.
- ✓ საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩეველის მისვლა არ შეიძლება.
- ✓ საარჩევნო კომისიის წევრს არ აქვს უფლება, გახსნას შვესებული საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები.
- ✓ უფლება გაქვთ, სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის/ბიულეტენების მოთავსებამდე ამომრჩეველს მოსთხოვოთ გიჩვენოთ, რომ მას ხელში დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი (ისე რომ არ დაირღვეს კენჭისყრის ფარულობა) და ერთი სპეციალური კონვერტი აქვს. ამომრჩეველი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა.